ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ახალ წინამძღვრად არჩეულია კორჩის მიტროპოლიტი იოანე

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 16.03.2025. 2025 წლის 16 მარტს ტირანაში გაიმართა ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა. ტირანის, დურესისა და სრულიად ალბანეთის ახალ მთავარეპისკოპოსად ერთხმად აირჩიეს ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელთმთავრო საყდრის ადგილმონაცვლე, კორჩის მიტროპოლიტი იოანე.

ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი შედგება შვიდი ეპისკოპოსისგან, ესენია: ბერატის მიტროპოლიტი ასტიოსი, კორჩის მიტროპოლიტი იოანე, გიროკასტრის მიტროპოლიტი დიმიტრი, აპოლონიისა და ფიერის მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ელბასანის მიტროპოლიტი ანტონი, ამანტის მიტროპოლიტი ნათანაელი და კრუის ეპისკოპოსი ანასტასი.

ახალარჩეული არქიეპისკოპოსის საზეიმო ინტრონიზაცია შედგება 2025 წლის 29 მარტს, ტირანის

ქრისტეს აღდგომის საკათედრო ტაძარში, – **იუწყება** მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის საიტი.

***

მიტროპოლიტი იოანე, ერში ფატმირ პელუში, დაიბადა ტირანაში 1956 წლის 2 იანვარს. ადრეულ ახალგაზრდობაში, სასტიკი რელიგიური დევნის პერიოდში, იგი ფარულად მონათლა მღვდელმა კოსმა კირიომ, შემდგომში აპოლონიის ეპისკოპოსმა. 1990 წელს გაემგზავრა შეერთებულ შტატებში, სადაც სწავლობდა ბოსტონში წმინდა ჯვრის მართლმადიდებლურ სასულიერო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1993 წელს და მიიღო თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი. ალბანეთში დაბრუნების შემდეგ ასწავლიდა დურესის სასულიერო სემინარიაში.

1994 წლის 27 თებერვალს დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 4 დეკემბერს მღვდლად იქნა ხელთდასხმული. 1995-1996 წლებში სწავლა განაგრძო ბოსტონის (აშშ) ბერძნულ კოლეჯში. 1996 წელს აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1997 წელს დაინიშნა დურესის სასულიერო აკადემიის პრორექტორად.

1998 წლის 18 ივლისს აირჩიეს კორჩის მიტროპოლიტად, ამავე დროს განაგრძობდა მასწავლებლობას სასულიერო აკადემიაში.

მიტროპოლიტი იოანე ალბანეთის მართლმადიდებელ ეკლესიას წარმოადგენდა მრავალ ყოველთამართლმადიდებელთა ღონისძიებაზე, საერთაშორისო შეხვედრებზე, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მუშაობაში და ევროპულ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

2013 წლის ივლისში ხელმძღვანელობდა ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას რუსეთის ნათლობის 1025 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

2025 წლის 26 იანვარს ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ, აირჩიეს ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელთმთავრო ტახტის ადგილმონაცვლესდ.

2025 წლის 16 მარტს ერთხმად აირჩიეს ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსად.

ავტორია მრავალი საღვთისმეტყველო ნაშრომისა და თარგმანისა.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ ენებს, ასევე, ლათინურსა და ივრითს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92968/